საპროექტო ორგანიზაცია: ი.ბ.ა "ვაშლივაშლარი"

ს/კ 205394633

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

ქ. თბილისი, მუხრან მაჭავარიანის №18, ნუცუბიძე-ვაშლივაშლის დამაკავშირებელი გზა /საკ. 01.10.18.006.221/

დამკვეთი: ამხანაგობა "ვაშლივაშლარი" ს/კ 205394633

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

/სადემონტაჟო და საპროექტო ნაწილი/

თავჯდომარე: დ. ახვლედიანი

არქიტექტორი: ვ. ტატიშვილი

დაამუშავა: ბ. გოგოლაური

ქ. თბილისი 2020წ



ექსპლიკაცია

1 საპროექტო ბლოკი
2 არსებული საძრდენი კედელი
3 დროებითი საყარაულო
4 დროებითი ბიოტუალეტი
5 სამშენებლო მოედნის "ოთახი" /კონტ. ტიპის/
6 დროებითი კვების "ოთახი" /კონტ. ტიპის/
7 დროებითი საბაძრდეროო /კონტ. ტიპის/
8 პოდრანტი
9 დროებითი საარმატურო /შარდული/
10 დროებითი საცხალიბე /შარდული/
11 დროებითი დახურული საწყობი /კონტ. ტიპის/
12 სამშენებლო საფენელა TTI-5 –2 ცალი
13 დროებითი ღია სასაწყობო
14 ბეტონის ტუმბო Pultzmeister M52-5
15 დროებითი ღობე
16 დროებითი ჭიშკარი

პირობითი აღნიშვნები

-საპროექტო შენობა
-დროებითი "ნაგებობა"
-დროებითი ღობე
-არსებული საძრდენი კედელი

პროექტის სახელწოდება

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

საპროექტო ორგანიზაცია: შპს "შენობისპარი"
ს/კ 205394633

ხელმძღვანელი: ზ. ბასილაძე
პროექტირება: გ. ცაბაძეური
ხაზვა: ბ. მრევლიშვილი

დამკვეთი: ამხანაგობა "ვაშლისფარი"
ს/კ 205394633

ქ. ბათუმში, მუხრან მაჭავარიანის №18, ნუცუბიძე-ვაშლისფარის დამაკავშირებელი გზა
/ს/კ. 01.10.18.006.221/

მშენებლობის ორგანიზაციის ნაწილი
ნახაზი

"სამშენებლო მოედნის-
-საპროექტო სამუშაოები"

ფურცელი: მო-2

მასშტაბი: 1:500 ფორმატი A3

9/25/2020



ექსპლიკაცია

1 არადამთავრებული სადემონტაჟო შენობა $\frac{01}{1}$ და $\frac{02}{1}$
2 არსებული საყრდენი კედელი
3 დროებითი საყარაულო
4 დროებითი ბიოტუალეტი
5 სამუშაოთა მწარმოებლის "ოთახი" /კონტ. ტიპის/
6 დროებითი კვების "ოთახი" /კონტ. ტიპის/
7 დროებითი საგარდერობო /კონტ. ტიპის/
8 ჰიდრანტი
9 დროებითი საინვენტარო /კონტ. ტიპის/
10 დროებითი ღია ფარდული
11 დროებითი დახურული საწყობი /კონტ. ტიპის/
12 დემონტირებული ნაწილების ადგილი
13 გრძელისრიანი ექსკავატორი "მაკრატელით"
14 დროებითი ჭიშკარი
15 დროებითი ღობე

პირობითი აღნიშვნები

- -სადემონტაჟო შენობა
- -დროებითი "ნაგებობა"
- -დროებითი ღობე
- -არსებული საყრდენი კედელი

პროექტის სახელწოდება

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

საპროექტო ორგანიზაცია: ი.ბ.ა "ვაშლიჯვარი"
ს/კ 205394633

თავმჯდომარე: დ. ახმედიანი
არქიტექტორი: გ. ტატიშვილი
დაამუშავა: ბ. მოზოლაური

დამკვეთი: ამხანაგობა "ვაშლიჯვარი"
ს/კ 205394633

ქ. თბილისი, მუხრან მაჭავარიანის №18,
ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზა
/საკ. 01.10.18.006.221/

მშენებლობის ორგანიზაციის ნაწილი
ნახაზი:
"სამშენებლო გენგეგმა-
-სადემონტაჟო სამუშაოები"

ფურცელი: მო-1

მასშტაბი: მ1:500 ფორმატი A3

9/25/2020



შენიშვნა: ბეტონის ტუმბოს და საწეველას მარკა შეიძლება შეცვლილი იქნას ანალოგიურ მარკაზე სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად

პროექტის სახელწოდება

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

საპროექტო ორგანიზაცია: ი.ბ.ა "ვაშლიჯვარი"
ს/კ 205394633

თავმჯდომარე:	დ. ახვლედიანი
არქიტექტორი:	მ. ტატიშვილი
დაამუშავა:	ბ. მოჩოლაური

დამკვეთი: ამხანაგობა "ვაშლიჯვარი"
ს/კ 205394633

ქ. თბილისი, მუხრან მაჭავარიანის №18, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზა /საკ. 01.10.18.006.221/

მშენებლობის ორგანიზაციის ნაწილი

ნახაზი:

"სამონტაჟო სქემა"

ფურცელი: მო-3

მასშტაბი: მ1:300 ფორმატი A3

9/25/2020

ე/ საერთო კალენდარული გეგმა 19.0 თვე

№ ეტ	მშენებლობის განხორციელების პროცესის რიგები და ეტაპები	დღე	1 წელი												2 წელი											
			1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
			15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15
	მშენებლობის პირველი რიგი																									
	მშენებლობის განხორციელების მოსამზადებელი სამუშაოები																									
I	[illegible]	60																								
II	შენობა-ნაგებობის ბრუნტზე დაცარება და პირითადი ქვაბულის დამუშავება	30																								
	მშენებლობის მეორე რიგი																									
	მშენებლობის განხორციელების პირითადი პერიოდის სამუშაოები																									
III	შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები	120																								
	შენობა-ნაგებობის შუაბის მოწყობის სამუშაოები																									
	შენობა-ნაგებობის საპირქვეშა მოწყობის სამუშაოები																									
	პირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა																									
	შენობა-ნაგებობის ნედლეული ნამუშევრამდე																									
IV	პირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა																									
	შენობა-ნაგებობის ნედლეული ნამუშევრამდე																									
	0.00—6.300;	30																								
	6.30—12.900;	30																								
	12.90—19.500;	30																								
	19.50—26.100;	30																								
	26.10—32.700;	30																								
	32.70—39.300	30																								
	39.30—41.900	30																								
V	შენობა-ნაგებობის სახურავისა და გარსახურის მოწყობა	90																								
VI	არასტანდარტული კონსტრუქციების მოწყობა	90																								
VII	შენობა-ნაგებობის ლიფტამდე სპირალური საფრენილების სატენიანებლად—ტექნიკამდე ტრანსპორტის მოწყობა	60																								
VIII	ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი	60																								
IX	შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები	120																								
X	მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები	30																								

შენიშვნა: 1. მშენებლობის განსაზღვრული ვადის ათვლა განხორციელდება მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ.
2. ნებართვის მფლობელი ვალდებულია შესატყობინოს სანქარო ზედამხედველობის ორგანოს მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ 10 დღით ადრე.

დაამუშავა: / გ. მუხიოლავა /

შინაარსი

1/ სადემონტაჟო სამუშაოები

ა/--განმარტებითი ბარათი;
ბ/--კალენდარული გეგმა;
გ/--გრაფიკული ნაწილი: ნახაზი მო-1.

2/ საპროექტო სამუშაოები

დ/--განმარტებითი ბარათი;
ე/--საერთო კალენდარული გეგმა;
ვ/--გრაფიკული ნაწილი: ნახაზი მო-2, მო-3

1/ სადემონტაჟო სამუშაოები
ა/ განმარტებითი ბარათი

1 საპროექტო ტერიტორია არასწორი ფორმის და რთული რელიეფის, მდებარეობს ქ. თბილისში, ვაშლიჯვარში, ს/კ 01.10.18.006.221. სამშენებლო მოედანზე განლაგებულია ორი არადამთავრებული საცხოვრებელი ბლოკი 01/1 და 02/1. დღეისათვის არის შესრულებული პირველი სართული და დაყენებულია კარ-ფანჯრები. თერიტორიას გაკეთებულია ვერტიკალური გეგმარება და მოწყობილია საყრდენი კედელი. სადემონტაჟო ნაგებობების კონსტრუქციული დახასიათება:
--კედლები----------წვრილი სამშენებლო ბლოკი;
--გადახურვა----------მონოლითური რკინაბეტონისაგან;
--კარკასი----------მონოლითური რკინაბეტონისაგან.

2 ვინაიდან მშენებლობის ხანგრძლივობა სადემონტაჟო სამუშაოებზე არ განისაზღვრება СниП 1.04.03-85 თანახმად, ხანგრძლივობა პირობითად მიღებულია **-2 თვე,** სამუშაოთა მოცულობიდან გამომდინარე.

მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოხდეს:
-უცხო ხალხის გაყვანა სადემონტაჟო უბნიდან;
-გარე და შიგა ქსელების გამორთვა;
-მიწისქვეშა ქსელების დაზუსტება და საჭიროების შემთხვევაში გადატანა;
-"დროებითი ნაგებობები"-ს განლაგება;
-სახურავიდან სამშენებლო ნაგვის მოშორება;
-დროებითი ღობის და ჭიშკრის დაყენება ქვედა ნაწილში, დანარჩენი ტერიტორია შემოფარგლულია საყრდენი კედლით;
-სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ენერგიით არსებული ქსელებიდან;
-აქტის შედგენა მოსამზადებელი პერიოდის სამუშაობის შესახებ.

3 სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება უნდა მოხდეს ზემოდან ქვევით სათანადო კომისიის დასწრებით.
აკრძალულია: სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება **ორი და სამი კონსტრუქციის ერთად**!
სამუშოების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული:
ყველა მუშების სათანადო ინსტრუქტაჟი და უზრუნველყოფა სპეციალური ტანსაცმლით, დემონტირებული კონსტრუქციების და ნაწილების დროებითი ადგილი, აქტის შედგენა ძირითადი პერიოდის სამუშაოების შესახებ.
ავარიული სიტუაციის შემთხვევაში უნდა მოხდეს სამუშაოების **შეჩერება.** ყველა საშიში ადგილი უნდა იყოს შემოღობილი სათანადო განათებით ღამის საათებში. სამშენებლო ნაგავი დროულად უნდა იქნას გატანილი.

სამშენებლო მოედანზე უნდა იყოს გამოყენებული გრძელისრიანი ექსკავატორი “მაკრატლით” ან “კოდალა”-ს დანადგარით. სამშენებლო ნაგავის დატვირთვა მოხდეს “ჩამჩიანი” ექსკავატორით.

სამუშაოების თანმიმდევრობა:

-კარ-ფანჯრების ამოღება;
-სახურავის ფენილის მოხსნა;
-იატაკის აყრა;
-ტიხრების დემონტაჟი;
-გარე კედლების დემონტაჟი;
-მონოლითური რკინაბეტონის გადახურვის და კარკასის დემონტაჟი;
-გრუნტის დამუშავება , საძირკვლის დანგრევა-ამოღება.

4. ყველა სამუშაოს განხორციელება მოხდეს საქართველოს მთავრობის 2007წ 28 მარტის №62 დადგენილების – **“მშენებლობის უსაფრთხოების წესები”-**ს მოთხოვნათა გათვალისწინებით.

მანქანა-მექანიზმების უწყისი

N	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	ერთ გან.	რ-ბა
1	საკომპრესორო დანადგარი	ც	2
2	სანგრევი ჩაქუჩები	ც	4
3	ნიჩაბი	ც	4
4	ელექტროსახერხი	ც	4
5	სპეცტრანსპორტი	ც	4
6	შემდუღებელი აპარატი	ც	4
7	ექსკავატორი /ნაგვის დატვირთვა/	ც	1
8	გრძელისრიანი ექსკავატორი “HITACHI” მაკრატლით	ც	1
9	ბულდოზერი /ნაგვის ნარჩენების შეგროვება/	ც	1

HITACHI –ის საბაზო ნაწილის ტექნიკური მაჩვენებლები

1	სიმაღლე----------	3.50მ
2	მოსაბრუნებელი ნაწილი----------	3.50მ
3	სავალი ნაწილის სიგანე----------	3.02მ
4	ისრის მაქსიმალური სიგრძე----------	21.00მ

21 მ-იანი ისრის HITACHI-ის მარკა:
ZX460LC
ZX350LC
ZX250LC-3

მაკრატელი, რომელიც შეიძლება დაყენებული იქნას უნდა იყოს “FURUKAWA” მარკის.
ყურადღება!!! ექსკავატორის და დამატებითი მოწყობილობის მარკა შეიძლება შეცვლილი იქნას სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად ანალოგიურ მარკაზე.

ბ/ კალენდარული გეგმა T=2.0 თვე

N	სამუშაოს დასახელება	დღე	1 თვე						2 თვე						3 თვე					
			5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30
	მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები																			
1	მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება /იხილე განმარტებითი ბარათი/	10																		
	სადემონტაჟო სამუშაოები																			
1	იატაკების აყრა; ტიხრების აღება; კარ-ფანჯრების ამოღება; სახურავის ფენილის დაშლა; მონოლითური რკინაბეტონის გადახურვის დაშლა; კედლების დანგრევა; მონოლითური რკინაბეტონის კარკასის დემონტაჟი; გრუნტის დამუშავება და საძირკვლის დანგრევა-ამოღება.	50																		
	საერთო სამუშაოები																			
1	სამშენებლო ნაგვის გატანა	-																		
2	სხვადასხვა სამუშაოები	-																		

2/ საპროექტო სამუშაოები

დ/ განმარტებითი ბარათი

1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია СниП 3.01.01-85 თანახმად და "საქართველოს მთავრობის დადგენილება №255, მუხლი №№18, 20"-ის თანახმად.

საპროექტო ობიექტი მრავალბინიანი ორბლოკიანი საცხოვრებელი სახლი ვაშლიჯვარში /ს.კ 01.10.18.006.221/. საპროექტო ტერიტორია არასწორი ფორმის და რთული რელიეფის. შენობის კონსტრუქციის ჩონჩხედი წარმოადგენს რკინაბეტონის კარკასს, რომლის ელემენტები-კოლონები, რიგელები და გადახურვები მონოლითური რკინაბეტონისაა. სახურავი იქნება ქანობიანი. 0.00 წინა ბლოკის შეესაბამება 515.30მ და უკანა ბლოკის--------514.80მ.

ტექნო-ეკონომიკური მაჩვენებლები:

--ავტოსადგომის ფართი----------1434.95მ^2;
--საცხოვრებელი ფართი----------9443.45მ^2;
--სავაჭრო ფართი----------395.20მ^2;
--დამხმარე ფართი----------84.50მ^2

2. საპროექტო ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობა განისაზღვრება СниП 1.04.03-85 თანახმად. ანალოგი გვ. 481 პ.7-ის T=17.00თვე სადაც 1.00 თვე-მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა. გვ 477 პ 19-ის და გვ 483 პ 12-ის მიხედვით T=17.00+0.50x11.00=22.50 თვე. გვ 477 პ 16-ის მიხედვით T=22.50+0.50x3.95=24.50 თვე. გვ 2 პ 11-ის მიხედვით T=24.50+4.00=28.50 თვე გვ. 4 პ. 17-ის მიხედვით **T=28.50x1.15=33.00 თვე.** სადემონტაჟო სამუშაოების გათვალისწინებით სრული ხანგრძლივობა მიღებულია **T=33.00+2.00=35.00 თვე.** დამკვეთის სურვილის თანახმად მშენებლობის ხანგრძლივობა მიღებულია **19 თვე.**

<u>მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოხდეს</u>:

--საპროექტო ქსელების გაყვანა;
--სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ენერგიით საპროექტო ქსელებიდან;
--სასაწყობო მოედნის გათვალისწინება;
--კონსტრუქციების და მასალების შემოტანა მოედანზე;
--ზედაპირული წყლების გადაყვანა მოედნიდან;
--ხანძრისგან დაცვის სისტემის მონტაჟი და შეერთება დროებით წყალსადენის ქსელთან.

შენიშვნა: დანარჩენი სამუშაოების შესრულება უნდა მოხდეს სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე.

3. გრუნტის დამუშავება მოხდეს ხელით /ძირითადი ქვაბული ამოღებული იქნება სადემონტაჟო სამუშაოების დროს/. არსებულ ქსელებთან გრუნტის დამუშავება მოხდეს **მარტო ხელით.** გრუნტის და ბალასტის უკუჩაყრა მოხდეს ხელით და ბულდოზერით. საჭირო მოცულობა უნდა იქნას შემოტანილი.

4. წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს სამშენებლო საწევლის /2 ცალი/ და ბეტონის ტუმოს გამოყენება. სამშენებლო საწეველა უნდა იყოს დაყენებული "a" და "a^1" ღერძებთან. ბეტონის ტუმბოს ადგილი გათვალისწინდეს აგრეთვე სამშენებლო მოედანზე. სამუშაოების თანმიმდევრობა რიგების და ეტაპების მიხედვით:

მშენებლობის პირველი რიგი:

--პირველი ეტაპი----------სამშენებლო მოედნის მოწესრიგება, მათ შორის: ამორტიზებული ან სხვა არსებული ნაგებობების დაშლასთან და სამშენებლო ნაგვის მოცილებასთან, შესანარჩუნებელი მწვანე ნარგავების დაცვასა და მიწისქვეშა საინჟინრო კომუნკაციების გადატანასთან----------**60 დღე;**

--მეორე ეტაპი----------შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება----------**30 დღე.**

მშენებლობის მეორე რიგი:

--მესამე ეტაპი----------შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები, შენობა-ნაგებობის ფუძის მოწყობის სამუშაოები, შენობა--ნაგებობის საძირკვლის მოწყობის სამუშაოები, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე----------**120 დღე;**

--მეოთხე ეტაპი----------ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნუილოვანი ნიშნულიდან:

--0.00—-6.30მ----------**30 დღე;**

--6.30-----12.90მ----------**30 დღე;**

--12.90—19.50მ----------**30 დღე;**

--19.50—26.10მ----------**30 დღე;**

--26.10—32.70მ----------**30 დღე;**

--32.70—39.30მ----------**30 დღე;**

--39.30—41.90მ----------**30 დღე.**

--მეხუთე ეტაპი---------- შენობა-ნაგებობის სახურავისა და გადახურვის მოწყობა----------**90 დღე;**

--მეექვსე ეტაპი---------- არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა----------**90 დღე;**

--მეშვიდე ეტაპი---------- შენობა-ნაგებობის ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა------
----------**60 დღე;**

--მერვე ეტაპი----------ტექნოლოგიური ,ოწყობილობის მონტაჟი----------**60 დღე;**
--მეცხრე ეტაპი----------შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები----------**120 დღე;**
--მეათე ეტაპი----------მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები----------**30 დღე**

5. უსაფრთხოების ტექნიკა

ზედმეტი გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცვლელებზე უნდა მოხდეს ან მანქანის გვერდიდან ან მანქანის უკანა ნაწილის მხრიდან.

სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.

საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებს და თავსაბურებს.

მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.

გაშიშველი სადენების გამოყენება აკრძალულია. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე.

სამონტაჟო მექანიზმის მუშაობის პერიოდში მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.

6. გარემოს დაცვის ღონისძიებები

გარემოს დაცვის ღონისძიებები ქმნის პირობებს დამახასიათებელი ეკოსისტემებისა, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად.

პროექტირების დროს და შემდგომ მშენებლობაში გამოყენებული იყოს ნაკლებად ტოქსიკური სამშენებლო მასალები. წინამდებარე პროექტში აღნიშნულია მშენებლობის მოქმედების არეალი /სამშენებლო მოედანი /აუცილებლად უნდა იქნას შემოღობილი დროებითი ღობით.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში იხილავს პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების ფაქტორებს გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე:

-ადამიანის ჯანმრთელობის და უსაფრთხოება;
-მცენარეთა საფარი, ბიოლოგიური ექოსისტემა;
-ატმოსფერული ჰაერის მოსალოდნელი დაბინძურების დონეები;
-ხმაურის მოსალოდნელი დონეები და მისი ზემოქმედება ადამიანის საცხოვრებელ გარემოზე.

არსებობს შემდეგი კანონები:

კანონი “გარემოს დაცვის შესახებ” 1996წ განსაზღვრას იმ ზოგად მოთხოვნებას , რომელიც უკავშირდება ჰაერის დაბინძურებას, წყლის აღებას და ჩაშვებას, ნარჩენებს, ხმაურს და სხვა საკითხებს.

კანონი “წყლის შესახებ” 1997წ შეეხება ზედაპირულ წყლებს, მიწისქვეშა წყლებს, მიმდებარე სანაპირო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვარს და განსაძვრავს წყლის აღებისა და ჩაშვების ლიცენზირებასთან დაკავშირებულ წესებს.

კანონი “ატმოსფერული ჰაერის შესახებ” 1997წ ითვალისწინებს ჰაერის კონტროლის და დაბინძურების შეზღუდვის დროებითი მეთოდოლოგიას, ჰაერის ხარისხის შედარება სტანდარტებთან, რომელიც სახსტანდარტს ეფუძნება.

კანონი “ მავნე ქიმიური ელემენტების შესახებ” 1998წ მოიცავს მავნე ნივთირების კლასიფიკაციას და უსაფრთხო მოხმარებას.

გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა-განადგურება.

ბეტონის შემოტანა უნდა მოხდეს სასაქონლო წესით ---ბეტონის მრევის საშუალებით.

საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულებისას ფასადებს უნდა ჩამოეფაროს ფარად, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა.

მშენებლობის დამთავრების პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ჩამოყრა ღიად დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა. შენობა საჭიროა აღჭურვოს კონუსური ტიპის ნაგავგამტარით, ნაგვის ჩამოცვლა კი მოხდეს უშუალოდ ავტოთვითმცლელი ავტომანქანების ძარაში.

7. წინამდებარე განმარტებითი ბარათი იხილე ნახ მო-2, მო-3 ერთად.

ТП-5 –ის ტექნიკური დახასიათება

1 ტვირთამწეობა----------500.00კგ
2 აწევის სიმაღლე----------50.00მ
3 აწევის სიჩქარე----------0.50მ/წ

Putzmeister M52-5-ის ტექნიკური დახასიათება

1 მოცულობა----------160.00მ^3/სთ
2 აწევის სიმაღლე----------50.00მ
3 შვერა----------48.10
4 შლანგის სიგრძე----------4.00მ
5 მანქანის სიგრძე----------13.60მ
6 დგარების შორის მანძილი----------10.20მ

ყურადღება!!! ნებისმიერი მექანიზმის მარკა შეიძლება შეცვლილი იქნას ანალოგიურ მარკაზე სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად.